გადაწყვეტილება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი**
განმახორციელებელი: **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
ქვეყანა: **საქართველო**
ტენდერის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **# EIB/GURAD/EMER/CW/NCB/06-2017**

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **ქალაქ თბილისში მდინარე ვერეს კალაპოტის ფორმირების სამუშაოები**
სამუშაოების ხანგრძლივობა: 365 (სამას სამოცდახუთი) დღე.
შეფასების ვალუტა: ლარი.

ტენდერში მონაწილე კომპანიები:

1. **ღსს "AZENCO ASC"**
2. **„გენჩ ინშაათ"-ის საქართველოს ფილიალი**
3. **ე/ს შპს „ჯავა", ი/მ „თემურ ალბექიონი" და შპს „გზები და კეთილმოწყობა"**
4. **უცხოური საწარმოს ფილიალი „შაჰარტ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფილიალი საქართველოში"**
5. **უცხოურის საწარმოს ფილიალი „სს მელბუდ ს.ა.-ს ფილიალი საქართველოში"**
6. **შპს „საბა კონსტრაქშენ"**
7. **ე/ს შპს „ალიანსი" და შპს „აგრომშენსერვისი"**

კონტრაქტის მინიჭებაზე რეკომენდაცია ეძლევა:

დასახელება: შპს „საბა კონსტრაქშენ"
მისამართი: მარტვილის ქ. N2, თბილისი, საქართველო.
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: **9,977,000.00** ლარი.
საკონტრაქტო ფასი: **9,976,999.92** ლარი.

შეფასებული კომპანიები:

დასახელება: ე/ს შპს „ჯავა", ი/მ „თემურ ალბექიონი" და შპს „გზები და კეთილმოწყობა"
მისამართი: ქვიშხეთის ქ. კორ.6, ბ. 25, თბილისი, საქართველო
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: **14,766,884.63** ლარი.
შეფასებული წინადადების ფასი: **14,766,884.63** ლარი.

დასახელება: ე/ს შპს „ალიანსი" და შპს „აგრომშენსერვისი"
მისამართი: ქავთარაძის ქ. N25, თბილისი, საქართველო.
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: **11,220,000.00** ლარი.
შეფასებული წინადადების ფასი: **11,220,000.00** ლარი.

დისკვალიფიცირებული კომპანიები:
დასახელება: ღსს "AZENCO ASC"

მისამართი: დაშგინ საფაროვის ქ. N9, ბაქო, აზერბაიჯანი.
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: **10,654,916.29** ლარი
შეფასებული წინადადების ფასი: **ა/გ**.
დისკვალიფიკაციის მიზეზი: სატენდერო წინადადება იყო არსებითად შეუსაბამო სატენდერო დოკუმენტაციის (პირველი ნაწილი) პირველი თავის (ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის) მე-19 პარაგრაფის მოთხოვნებთან. კერძოდ, სატენდერო წინადადების საბანკო გარანტია გაცემული იყო აზერბაიჯანული ბანკის მიერ და არ იყო უზრუნველყოფილი საქართველოში მოქმედი ბანკის მიერ სატენდერო დოკუმენტაციის პირველი ნაწილის, I თავის (ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის) 19.3 ქვე-პარაგრაფის მოთხოვნათა შესაბამისად. ამავე პარაგრაფის 19.4 ქვე-პარაგრაფის თანახმად, ნებისმიერი სატენდერო წინადადება, რომელსაც არ ახლავს მოთხოვნებთან არსებითად შესაბამისი სატენდერო წინადადების გარანტია, უარყოფილი იქნება დამკვეთის მიერ, როგორც მოთხოვნებთან შეუსაბამო.

დასახელება: „გენჩ ინშაათ“-ის საქართველოს ფილიალი
მისამართი: 12-35, მე-8 მრ., რუსთავი, საქართველო
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: **11,373,733.08** ლარი
შეფასებული წინადადების ფასი: **ა/გ**.
დისკვალიფიკაციის მიზეზი: სატენდერო წინადადება იყო არსებითად შეუსაბამო სატენდერო დოკუმენტაციის (პირველი ნაწილი) პირველი თავის (ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის) მე-19 პარაგრაფის მოთხოვნებთან. კერძოდ, სატენდერო წინადადების საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს ტენდერის მონაწილეზე, თუმცა ტენდერის ფარგლებში მონაწილემ წარმოადგინა „გენჩ ინშაათის“-ის აზერბაიჯანის ფილიალის სახელზე გაცემული სატენდერო წინდადადების საბანკო გარანტია. ამასთანავე, სატენდერო წინადადების საბანკო გარანტია გაცემული იყო აზერბაიჯანული ბანკის მიერ და არ იყო უზრუნველყოფილი საქართველოში მოქმედი ბანკის მიერ სატენდერო დოკუმენტაციის პირველი ნაწილის, I თავის (ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის) 19.3 ქვე-პარაგრაფის მოთხოვნათა შესაბამისად. ამავე პარაგრაფის 19.4 ქვე-პარაგრაფის თანახმად, ნებისმიერი სატენდერო წინადადება, რომელსაც არ ახლავს მოთხოვნებთან არსებითად შესაბამისი სატენდერო წინადადების გარანტია, უარყოფილი იქნება დამკვეთის მიერ, როგორც მოთხოვნებთან შეუსაბამო.

დასახელება: უცხოური საწარმოს ფილიალი „შაჰარტ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფილიალი საქართველოში“
მისამართი: ცაგარელის ქ. N49, თბილისი, საქართველო
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: **10,153,767.04** ლარი
შეფასებული წინადადების ფასი: **ა/გ**.
დისკვალიფიკაციის მიზეზი: სატენდერო წინადადება იყო არსებითად შეუსაბამო სატენდერო დოკუმენტაციის (პირველი ნაწილი) პირველი თავის (ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის) 14.2 ქვე-პარაგრაფის მოთხოვნებთან, კერძოდ, ტენდერის მონაწილემ არ წარმოადგინა სამუშაოთა მოცულობების უწყისი. შესაბამისად, სატენდერო დოკუმენტაციის (პირველი ნაწილი) პირველი თავის (ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის) 29.4 ქვე-პარაგრაფის მოთხოვნების თანახმად, ტენდერის მონაწილის სატენდერო წინადადება უარყოფილი იქნა დამკვეთის მიერ.

დასახელება: უცხოურის საწარმოს ფილიალი „სს მელბუდ ს.ა.-ს ფილიალი საქართველოში“
მისამართი: ნუცუბიძის ფერდობი, მკ/რ-ნი II, კვარტალი I, კორპუსი 1ა, ბინა N23, თბილისი, საქართველო
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: **10,962,916.99** ლარი
შეფასებული წინადადების ფასი: **ა/გ**.
დისკვალიფიკაციის მიზეზი: სატენდერო წინადადება იყო არსებითად შეუსაბამო სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან. კერძოდ, არ იყო წარმოდგენილი სატენდერო წინადადების საბანკო გარანტია სატენდერო

დოკუმენტაციის პირველი ნაწილის, I თავის (ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის) მე-19 პარაგრაფის და სატენდერო დოკუმენტაციის მეორე ნაწილის II თავის (სატენდერო მონაცემთა ნუსხა) 19.1 ქვე-პარაგრაფის მოთხოვნათა შესაბამისად. 19.4 ქვე-პარაგრაფის თანახმად, ნებისმიერი სატენდერო წინადადება, რომელსაც არ ახლავს მოთხოვნებთან არსებითად შესაბამისი სატენდერო წინადადების გარანტია, უარყოფილი იქნება დამკვეთის მიერ, როგორც მოთხოვნებთან შეუსაბამო.